



რა უფლებები მაქვს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლს?

არავინ არის იმისთვის მზად, რომ გახდეს სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი. სულ ერთია არის ეს ჯიბის ქურდობის შემთხვევაა, სხეულის მძიმე დაზიანება, თუ სხვა სახის დანაშაული: დანაშაულის გამო ადამიანი მსხვერპლად გრძნობს თავს და დაზნეულია ან ხშირად არ იცის, როგორ მოიქცეს. ეს ბრომურა პირველად წარმოდგენას შეგიქმნით იმის შესახებ, თუ სად შეიძლება დახმარების მიღება და რა უფლებები გაქვთ.

ვის შეუძლია ჩემი დახმარება?

მსხვერპლის დამხმარე ორგანიზაციები მოგცემენ რჩევას და გთავაზობენ დამხმარებას. დამხმარე პუნქტებში მუშაობენ ბატონები და ქალბატონები სპეციალური განათლებით, რომლებსაც თქვენს სიტუაციაში მყოფ ადამიანებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და სურთ მოგისმინონ და დაგეხმარონ. მომხდარის სირთული ხარისხიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ სამომავლო დახმარებისათვის გაგიწიონ შუამდგომლობა, როგორცაა მაგალითად ფსიქოლოგიური ან თერაპევტული დახმარება.

მიმოხილვა იმის შესახებ, თუ ვის შეგიძლიათ მიმართოთ, იხილეთ ბმულზე: www.bmjv.de. ისე კი პოლიციის ნებისმიერ დაწესებულებაში, ან დანაშაულის მსხვერპლთა ინტერნეტში განთავსებულ მონაცემთა ბაზაზე შეგიძლიათ დახმარების მიღება (www.odabs.org).





როგორ შემიძლია განვაცხადო სისხლის სამართლის დანაშაული შესახებ და რა ხდება ამის შემდეგ?

თუ გსურთ განცხადება გააკეთოთ სისხლის სამართლის დანაშაული შესახებ, მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ პოლიციის ნებისმიერ დაწესებულებას. თუ განცხადება შეიტანეთ სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, მაშინ არ შეგიძლიათ განცხადების უბრალოდ უკან გამოტანა, რადგან საგამომიებო სამსახურებმა (პოლიცია და პროკურატურა) ყველა განცხადებული დანაშაული უნდა გამოიძიონ.

მხოლოდ რამოდენიმე არც თუ ისე მძიმე დანაშაულის შემთხვევაში (როგორცაა მაგალითად შეურაცხყოფა, ან საგნობრივი დაზიანება) შეუძლია დაზარალებულს გადაწყვიტოს, უნდა მოხდეს თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიება. ამიტომაც ასეთ შემთხვევებს ეწოდებათ, კერძო ბრალდების დანაშაული: დანაშაული, რომელიც წესისამებრ სისხლისსამართლებრივად იდევნება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თქვენ, როგორც დანაშაულის მსხვერპლი ამას პირდაპირ მოისურვებთ. საჩივარი უნდა შეიტანოთ დანაშაულებრივი ფაქტის გაგებიდა, ან დამნაშავე პირის შესახებ შეტყობიდან სამი თვის განმავლობაში.

რა ხდება, როცა გერმანული ენა საერთოდ არ ვიცი, ან ძალიან ცუდად ვიცი?

არა უშავს, თუ საჩივრის შეტანა გინდათ, დაგეხმარებიან. თუ დაგკითხავენ მოწმის სტატუსით, მაშინ უფლება გაქვთ, მოითხოვოთ თარჯიმანის ჩართვა.

რა ინფორმაცია შემიძლია მივიღო სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ?

თუ სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი გახდებით, ყოველთვის ავტომატურად არ მიიღებთ ინფორმაციას სისხლის სამართლის დანაშაულზე. ვალდებული ხართ, საუკეთესო შემთხვევაში მაშინვე განაცხადოთ პოლიციაში, გინდათ თუ არა ფლობდეთ ინფორმაციას და კერძოდ - რა ინფორმაციას. თუ გაქვთ ამის სურვილი, მაშინ ინფორმაციას მიიღებთ შემდეგ სახით:



- თქვენ მიიღებთ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოში თქვენს მიერ შეტანილი განცხადების მოკლე წერილობით დასტურს.
- თუ პროკურატურა შეწყვეტს საქმის წარმოებას, ეს ნიშნავს სასამართლოს წინაშე ბრალს არ წააყენებს, მაშინ თქვენ ამის შესახებ შეგატყობინებენ
- მოგაწოდებენ ინფორმაციას, სად და როდის ტარდება სასამართლოში საქმის განხილვა და რა ედება ბრალად მსჯავრდებულს.
- თქვენ შეგატყობინებენ, თუ რა შედეგით დამთავრდა სასამართლო განხილვა, ეს ნიშნავს, სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა თუ მსჯავრი განსაზღვრა, თუ შეწყდა საქმის წარმოება.
- თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ ექვმიტანილი, ან მსჯავრდებული არის თუ არა პატიმრობაში.
- თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, აეკარძალა თუ არა მსჯავრდებულს თქვენთან კავშირის დამყარება.

ცალკეულ შემთხვევაში შეგიძლიათ დამატებით განაცხადი გააკეთოთ საქმიდან ასლებისა და საქმის შესახებ ინფორმაციის მიღების თაობაზე. ეს შესაძლებელია იყოს მონახაზი საგზაო უბედური შემთხვევის შემდეგ, რომელიც გჭირდებათ ზიანის ანაზღაურების ან არაქონებრივი, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების მოსათხოვად. თუ არ გაქვთ უფლება იყოთ თანამოსარჩლე, (დამატებით სარჩელზე ქვემოთ), მაშინ უნდა დაასაბუთოთ განაცხადი, ანუ ახსნათ, თუ რატომ გჭირდებათ ეს ინფორმაცია საქმიდან.

გამონაკლისები ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია.

თქვენი, როგორც მოწმის ჩვენება

თუ თქვენ გახდით სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი, მაშინ საქმისთვის, როგორც მოწმე, ძალიან მნიშვნელოვანი ხართ. წესისამებრ თქვენ პოლიციაში აძლევთ ჩვენებას. ხშირ შემთხვევაში მოგვიანებით სასამართლოშიც უნდა მისცეთ ჩვენება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად თუ



ექვმიტანილთან დაქორწინებული, ან დანათასავებული ხართ, უფლება გაქვთ უარი თქვათ ჩვენების მიცემაზე, ანუ არ ხართ ვალდებული რაიმე თქვათ.

დაკითხვის დროს ვალდებული ხართ თქვათ თქვენი სახელი და მისამართი. გამონაკლისი შეიძლება მოხდეს, თუ განსაკუთრებული საშიშროებას აქვს ადგილი. მაგალითად ეს შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ვინმე ძალადობით დაგემუქრათ, იმის გამო რომ ჩვენების მიცემა გინდათ, მაშინ თქვენ არ ხართ ვალდებული თქვათ თქვენი მისამართი. ამის ნაცვლად შეგიძლიათ სხვა მისამართი დაასახელოთ, რომელზეც შესაძლებელია თქვენთან კავშირის დამყარება. ეს შეიძლება იყოს მაგალითად დაზარალებულთა დამხმარე ორგანიზაცია, რომელთანაც თქვენ გაქვთ კონტაქტი.

მისცეთ ჩვენება როგორ მოწმემ, ეს თქვენთვის ნამდვილად გამონაკლისი სიტუაცია იქნება, რომელიც შესაძლებელია ძალიან დამთრგუნველი იყოს. ამის გამო შეგიძლიათ დაკითხვაზე მიიყვანოთ თანმხლები პირი. ის შეიძლება იყოს ნათესავი, ან მეგობარი. ამ პირს უფლება აქვს დაესწროს დაკითხვას, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მისი გამორიცხვა. თანმხლები პირი შეიძლება იყოს რა თქმა უნდა ადვოკატი, განსაკუთრებულ შემთხვევაში დაკითხვისთვის ადვოკატი სახელწიფო ხარჯზე შეიძლება აიყვანოთ. თუ მიგაჩნიათ, რომ დაკითხვისას გჭირდებათ ასეთი თანადგომა, სულ ერთია ეს იქნება პოლიციაში, პროკურატურაში, თუ სასამართლოში, დაეკითხეთ პირს, რომელიც ატარებს დაკითხვას.



2017 წლიდან:

თუ ბავშვები ან მოზარდები გახდნენ ძალადობის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მაშინ არსებობს პროფესიონალური დახმარებისა და თანადგომის შესაძლებლობა მთელი პროცესის მანძილზე, ეგრეთ წოდებული ფსიქო-სოციალური დახმარების საპროცესო თანხლება. ცალკეულ შემთხვევებში სექსუალური ან ძალადობრივი მძიმე დანაშაულის ზრდასრულ დაზარალებულებსაც შეიძლება დასჭირდეთ და ისარგებლონ ასეთი მომსახურებით. საპროცესო ფსიქო-სოციალური დახმარება უფასოა იმ შემთხვევაში, თუ მას სასამართლო დაამტკიცებს. იკითხეთ პოლიციაში, ან დაზარალებულების მომსახურე ორგანიზაციაში. აქ შეუძლიათ მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია.

შეგიძლია თუ არა როგორც თანამოსარჩლეს ჩავეერთო სისხლის სამართლის პროცესში?

თუ სისხლის სამართლის გარკვეული დანაშაულის მსხვერპლი გახდით, მაშინ შეგიძლიათ პროცესზე გამოცხადდეთ როგორც თანამოსარჩლე. ასეთია მაგალითად: გაუპატიურება, სექსუალური დელიქტი, გარყვნილი ქმედება, განზრახ მკვლელობა, ან ქმედება, რომელმაც ახლო ნათესავის მკვლელობა გამოიწვია. ასეთ შემთხვევებში თქვენ განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობთ. მაგალითად, სხვა მოწმეებისგან განსხვავებით შეგიძლიათ სასამართლო პროცესში ყოველთვის მიიღოთ მონაწილეობა.

ვინ გადაუხდის ჩემს ადვოკატს?

თუ გამოიყენებთ საადვოკატო მომსახურებას, მაშინ წარმოიქმნება ხარჯები. თუ ბრალდებულს დაედება მსჯავრი, მაშინ ადვოკატის ხარჯი მან უნდა დაფაროს. თუმცა რეალურად ყველა მსჯავრდებულს არ აქვს იმის შესაძლებლობა დაფაროს ხარჯი, ამიტომ შესაძლებელია თავად მოგიწიოთ ამ ხარჯის დაფარვა.



განსაკუთრებულ, გამონკლის შემთხვევებში შეგიძლიათ სასამართლოში შეიტანოთ განაცხადი მოთხოვნით, აიყვანოთ ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ეს ასე ხდება მაგალითად ძალადობრივი და სექსუალური მძიმე დანაშაულისას, ან თუ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო გარდაგეცვალათ ახლო ნათესავები, მაგალითად შვილები, მშობლები, ან მეუღლე. ასეთ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, გაქვთ თუ არ ფინანსური შესაძლებლობა.

სხვა შემთხვევებშიც შეგიძლიათ სასამართლოში შეიტანოთ განაცხადი ადვოკატის მომსახურებისთვის ფინანსური დახმარების შესახებ. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ მცირე შემოსავალი გაქვთ და უფლება გაქვთ თანამოსარჩლედ ჩაერთოთ პროცესში.

ზარალის ანაზღაურება და არაქონებრივი, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება

Schadenersatz und Schmerzensgeld

მოგაყენეს სისხლის სამართლის დანაშაულის გამო ზიანიც, ან გსურთ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება? გსურთ მოთხოვნის ამ უფლებით ისარგებლოთ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების პროცესში? წესისამებრ ეს შესაძლებელია (ე. წ. ზიანის ანაზღაურების სარჩელის აღძვრა სისხლის სამართლის საქმეში), მაგრამ ამისათვის უნდა შეიტანოთ მოთხოვნა. ეს შესაძლებელია სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ განცხადების გაკეთების დროს მოხდეს.

რა თქმა უნდა, ასევე შეგიძლიათ გადაწვიტოთ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით, ან არაქონებრივი, მორალური ზარალის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით სხვა პროცესზე ისარგებლებთ თუ არა, ეს ნიშნავს, რომ არა სისხლის სამართლის სასამართლოში, არამედ სამოქალაქო სასამართლოში. აქაც შეგიძლიათ განაცხადი გააკეთოთ საადვოკატო მომსახურებისთვის ფინანსური დახმარების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მცირე შემოსავალი გაქვთ.



სხვა რა უფლებები მაქვს?

ძალადობრივი ქმედების გამო დაგიზიანდათ ჯანმრთელობა? მაშინ შესაძლებელია მსხვერპლისთვის ზარალის ანაზღაურების კანონის გამოყენებით სახელმწიფოსგან დახმარების მიღება. როცა მაგალითად საქმე ეხება სამედიცინო ან ფსიქოთერაპევტულ მკურნალობას, დამხმარე საშუალებებს, (მაგ. დამხმარე მოწყობილობას გადაადგილებისთვის, ინვალიდთა ეტლს) ან საპენსიო დახმარებას, (მაგალითად შემოსავლის დანაკარგის კომპენსირებას). მოკლე განაცხადი ამის თაობაზე პოლიციაშივე შეგიძლიათ გააკეთოთ.

თუ ხართ ექსტრემისტული ან ტერორისტული დანაშაულის მსხვერპლი, შეგიძლიათ იუსტიციის ფედერალურ სამსახურში შეიტანოთ განაცხადი ფინანსური დახმარების მიღების თაობაზე. იქ მიიღებთ ყველა ინფორმაციას წინაპირობებსა და თავად პროცესის მიმდინარეობს შესახებ: www.bundesjustizamt.de/ საძიებელი სიტყვით: Härteleistungen/Opferhilfe)

როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს, სავარაუდოდ სხვა უფლებებიც გაქვთ ძალადობისგან დაცვის კანონის გამოყენებით. მაგალითად საოჯახო სასამართლოში შეგიძლიათ განცხადება გააკეთოთ იმის თაობაზე, რომ დამნაშავეს აეკრძალოს თქვენთან კონტაქტის დამყარება. სასამართლოს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება მოგცეთ, რომ იმ ბინაში, სადაც ამ დრომდე დამნაშავესთან ერთად ცხოვრობდით, მარტო იცხოვროთ. ამისათვის აუცილებელი განაცხადი ან წერილობით უნდა მიაწოდოთ პირველი ინსტანციის სასამართლოს, ან თავად გააკეთოთ სასამართლოში. არ ხართ ვალდებული წარგადგინოთ ადვოკატი.

რა არის დამნაშავესა და მსხვერპლს შორის შეთანხმება?

ასე ეწოდება პროცესს, რომელიც პირველ რიგში სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლს უნდა დაეხმაროს იმაში, გადალახოს განცდილი უსამართლობა. ჩვეულებრივი სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით დამნაშავე კონკრეტულად და პირდაპირ უნდა გაერკვეს იმაში, თუ რა ზიანი და დაზიანებები



მიაყენა მისმა ქმედებამ მსხვერპლს. ეს შესაძლებელია იყოს მატერიალური ზიანი, რომელიც მსხვერპლმა განიცადა სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, ან სულიერი ტრავმა, პირადი შეურაცხყოფა, თუ დანაშაულის გამო გამოწვეული შიშები. დამნაშავე-მსხვერპლის შეთანხმება არასოდეს ხდება მსხვერპლის სურვილის საწინააღმდეგოდ და ხდება მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე სერიოზულად სურს ქმედებაზე პასუხისმგებლობა აიღოს. შესაბამის შემთხვევებში დამნაშავე-მსხვერპლის შეთანხმება შესაძლებელია მსხვერპლის პირადი კონფლიქტის გადალახვასა და სამართლებრივი მშვიდობის დამყარებას ემსახუროს. ამის გამო ხშირად ამ პროცესს პროკურატურა, ან პოლიცია აწესებს. თუმცა პროცესი არ მიეკუთვნება სისხლის სამართლის წარმოებას და ამისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. ამისათვის არსებობს განსაკუთრებული სამსახურები და ორგანოები, სადაც სპეციალურად განსწავლილი შუამავლები მუშაობენ.



დამატებით ინფორმაციის მსხვერპლ-დამნაშავის შერიგებაზე და სამსახურებზე, რომელიც თქვენს სიახლოვეს მუშაობს, იპოვით ინტერნეტში მაგლითად გვერდზე <http://www.toa-servicebuero.de/konfliktschlichter> ან გვერდზე <http://www.bag-toa.de/>.

ბროშურები და ბმულებდეტალური ინფორმაციისთვის

სრულ ინფორმაციას მსხვერპლის დაცვის შესახებ იუსტიციისა და მომხარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე (BMJV) მიიღებთ. აქვე იხილავთ ცალკეული ფედერალური მიწების ინტერნეტ-გვერდების შესაბამის ბმულებს (ადგილზე არსებული მსხვერპლთა დაცვის ორგანიზაციებზე მინიშნებებით) და სისხლის სამართლის დანაშაულის დაზარალებულთა ონლაინ მონაცემთა ბაზას (ODABS): <http://www.bmjv.de/opferschutz>

სხვა დამხმარე ინფორმაციას იხილავთ შემდეგ ბროშურებში:

- „მსხვერპლთა ანბანი“

- „მე მაქვს უფლებები“

- „მეტი დაცვა ოჯახური ძალადობისას“

- „საპროცესო ხარჯებისა და საკონსულტაციო ხარჯების დახმარება სახელმწიფოს მხრიდან“

(ინტ. გვერდზე www.bmjv.de/publikationen)

- „ძალადობრივი ქმედების მსხვერპლთა დახმარება“

www.bmas.de/ (საძიებელი სიტყვა: Hilfe für Opfer von Gewalttaten)

პუბლიკაციის შეკვეთა

ინტერნეტი: www.bmjv.de

ფოსტით: Publikationsversand der Bundesregierung,

Postfach 48 10 09, 18132 Rostock

ტელეფონი: (030) 18 272 272 1 ფაქსი: (030) 18 10 272 272 1



ყველა შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი და დასჭირდეს დახმარება. გთხოვთ, ნუ შეიკავებთ თავს და მომდევნო შემოთავაზებებში მოიძიეთ შესაბამისი დახმარება და რჩევა.

მსხვერპლის დაცვა პოლიციის მეშვეობით

პოლიციაში კონსულტაციისას დახმარებას უწევენ და კონსულტაციას უტარებენ მსხვერპლს, მოწმეს ან ოჯახის წევრს სისხლის სამართლის დანაშაულის, უბედური და საგზაო შემთხვევის შემდეგ. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე www.polizei.rlp.de/Opferschutz.

<p>Polizeipräsidium Koblenz ტელეფონი: 0261 - 103-2874, ელ.-ფოსტა: opferschutz.ppkoblenz@polizei.rlp.de</p>	<p>Polizeipräsidium Mainz ტელეფონი: 06131 - 65-3388, ელ.-ფოსტა: opferschutz.ppmainz@polizei.rlp.de</p>
<p>Polizeipräsidium Westpfalz, Kaiserslautern ტელეფონი: 0631 - 369-1404, ელ.-ფოსტა: opferschutz.ppwestpfalz@polizei.rlp.de</p>	<p>Polizeipräsidium Rheinpfalz, Ludwigshafen ტელეფონი: 0621 - 963-1154, ელ.-ფოსტა: opferschutz.pprheinpfalz@polizei.rlp.de</p>
<p>Polizeipräsidium Trier ტელეფონი: 0651 - 9779-1255, ელ.-ფოსტა: opferschutz.pptrier@polizei.rlp.de</p>	

იუსტიციის მხრიდან შემოთავაზებები დასახმარებლად

იუსტიციის სამინისტრო ინტერნეტ გვერდზე www.jm.rlp.opferschutz.de ათავსებს სხვა და სხვა ინფორმაციას სისხლის სამართლის დანაშაულის დაზარალებულთათვის სასამართლოებში მოწმეებისთვის საკონტაქტო წერტილები

- რეინლანდ-პფალცის მსხვერპლთა დაცვის ფონდი
- ზიანის ანაზღაურების სარჩელის აღძვრა სისხლის სამართლის საქმეზე
- ზიანის ანაზღაურების სარჩელის აღძვრა სისხლის სამართლის საქმეზე
- დამნაშავე-მსხვერპლის შეთანხმება
- საპროცესის ფსიქო-სოციალური დახმარება

სხვა დამხმარე ორგანიზაციები

ინტერნეტ გვერდზე www.opferschutz.rlp.de

ფედერალური მიწის მთავრობა გთავაზობთ რეინლანდ-პფალცში არსებული მრავალრიცხოვანი დამხმარე და საკონსულტაციო ორგანიზაციების შესახებ მიმოხილვას. მიმოხილვაში მოთავსებულია ასევე ტელეფონის ნომრები ექსტრემალური შემთხვევისას, შემოთავაზებები დახმარებისთვის და მითითებები, თუ სად შეუძლიათ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო დაზარალებულებს ადამიანური და ფინანსური დახმარების მიღება.

დახმარება ასევე შეგიძლიათ მიიღოთ

- დანაშაულის მსხვერპლთა გაერთიანების WEISSER RING-ის ცხელი ხაზი.



ტელეფონი: 116 006, www.weisser-ring.de

- ცხელი ხაზი ძალადობა ქალები წინაარმდეგ
ტელეფონი: 0800 116 016, www.hilfetelefon.de
- რეინლანდ-პფალცის დაზღვევა უბედურ შემთხვევის დროს დაზიანებული
სასწრაფო დამხმარებისა და გამოუვალი მდომარეობაში დამხმარებისთვის
ტელეფონი: 02632 960-0, www.ukrlp.de